ცნობის ფურცელი

№ 2326 ორშაბათი, 17 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2326

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო მერაბის ასული იოსელიანისა შეილებითურთ აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 18 ამა ნოემბერს,

მართა ისიდორეს ასულის იოსელიანის

გარდაცვალებიდან ნახევარ წლის თავზე, წმ. ამაღლების ეკკლესიაში გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დილის 9 საათს დაიწყება. (1—1)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 18 ნოემბერს, 1903 წელს ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება **ვ. აბაშიძის საბენეფისოდ** ახალი პიესა

I

ქმართა სკოლა

კომ. 3 მოქმ. მოლიერისა, თარგ. მაჭავარიანისა.

II

ფული და ხარისხი

კომედ. 3 მოქმ. აზიანისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელი, ნებიერიძე, ელ. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა პისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ორშაბათს, 17 ნოემბერს, 1903 წ., გაიმართება გამოსათხოვარი წარმოდგენა და ბენეფისი გამოჩენილ მომღერლის ჯირალდონისა, ბ. ფიგნერის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება

I

მესამე მოქმედება ვერდის ოპერიდან „**ერნანი**“

II

მესამე მოქმედება რუბინშტეინის ოპერიდან „**დემონ**“

III

მე-6 და მე-7 სურათები ჩაიკოვსკის ოპერიდან „**ევგენი ონეგინ**“

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რენე-რადინა, სკორუპსკაია, კარტავინა, ლელინა; ბ-ნნი: ფიგნერი, ჯირალდონი, ილიუშჩენკო, სანგურსკი, რჟანოვი, გრინევი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი პოზენი.

ანონსი: ხვალ—„პიკოვაია დამა“, ზეგ—„ტრუბადურ“. მზადდება წარმოსადგენად „კამორა“ (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ-, პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი** № 274.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში

კბილის ექიმი

პ. გ. მახარაშვილი

გადავიდა ნადირაძის სახლში (ბაინდუროვისეულში) კოკოჩაშვილის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 4—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 21 სახლი ვნაჭისა. (წლ.)

საზღვარ-გარედ

„ამომავალ მზის ქვეყანაში“

წარსულ ზაფხულს აქეთ შვიდი იაპონელი პროფესორი ბეჯითად ამტკიცებენ, იაპონიამ რუსეთს ომი უნდა გამოუცხადოსო. ამ შვიდ პროფესორს ეხლა მერვე პროფესორი ბ-ნი ტოტებაც მიჰმატებია. ყველას ერთად ამ ომის თაობაზე დიდი წიგნი—170 გვერდი—დაუწერიათ და ცალკე გამოუციათ. ამ წიგნში პროფესორები ამტკიცებენ, იაპონიამ რუსეთს ეხლავე ომი უნდა გამოუცხადოსო.

მაგრამ იაპონიაში, როგორც ვიცით, ომის წინააღმდეგი ხალხიც ბევრია. გერმანელ სოციალ-დემოკრატების გაზ. „ფორვერტს“-ი სწერს: იაპონელმა სოციალისტებმა ტოკიოში კრება მოახდინეს და რუსეთ-იაპონიის ომის თაობაზე მოილაპარაკეს. კრებამ დიდის ხმის უმეტესობით დაადგინა: ომი საჭირო არაა იაპონიისათვისაო; ჩვენთვის დიდი უბედურებაა, რომ შოვინისტები ომის გამოცხადებას თხოულობენო.

კომბის გამარჯვება

7 ნოემბერს საფრანგეთის სენატმა სენატორ დელპეშის წინადადება განიხილა. დელპეში თხოულობდა, საშუალო სკოლებში ყველა სასულიეროსა ღ სამღვდელო პირს სწავლების უფლება აეკრძალოსო. პირველმა მინისტრმა კომბმა წინადვე მოიწონა ეს წინადადება. კომისიის წევრმა ტეზარმა მოახსენა სენატს, კომისიამაც 9 ხმით 5 წინააღმდეგ მოიწონა ეს წინადადებაო. რადიკალმა სენატორმა ლეკონტმაც მხარი დაუჭირა ამ წინადადებას და თავისი სიტყვა ასე დაასრულა:

„ჩვენ, რადიკალებს, თავისუფლება გვიყვარს, ამიტომ ამ წინადადებას ვემხრობით (მარჯვენა პარტია პროტესტს აცხადებს). მაგრამ სანამ ჩვენ სკოლებში კონგრეგაციის წევრები ბავშვებს რესპუბლიკას აძულებენ, საფრანგეთში ნამდვილი თავისუფლება არ დამყარდება“. (მარცხენა პარტია ტაშს უკრავს).

ამის შემდეგ ტრიბუნაზე კომბი ავიდა. პირველმა მინისტრმა დელპეშის წინადადება მოიწონა ღ დაუმატა, საშუალო სასწავლებლებში არც ნებადართულ და არც აკრძალულ კონგრეგაციების წევრებს მასწავლებლობის უფლება არ უნდა ჰქონდეთო, აღალგაზრდობას იმათ ხელში ვერ ჩავაგდებთო და სხვ. (მარცხენა პარტია ტაშს უკრავს).

კომბს პირველ-მინისტრად ნამყოფმა ვალდეკ-რუსომ უპასუხა. ვალდეკმა სთქვა: მთავრობის მომხრე უმეტესობა ლამის წრეს გადავიდეს. ეხლა ისეთ წესებს აწესებენ, რაზედაც წინად ლაპარაკიც კი არა ყოფილა. მე ადრევე გავაფრთხილე მთავრობა; წინად მთავრობა თითონაც უფრო ფრთხილად იქცეოდა, მაგრამ ეხლა თავის მოუთმენელ და დაუდევარ მეგობრებს აჰყვა (მარჯვენა პარტია და ცენტრი ტაშს უკრავენ). მისაყვედურებენ, ვითომ ჩემგან შედგენილი 1901 წლის კანონი საკმარისი არ იყოს, მაგრამ ეს ტყუილი საყვედურია. ეს კანონი კარგს, საიმედო იარაღს აძლევს მთავრობას კონგრეგაციების წინააღმდეგაო.

ვალდეკ-რუსოს სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მარჯვენა პარტიასა და ცენტრზე. რუსოს კომბმა უპასუხა და მოითხოვა, ეხლავე კენჭის ყრა მოვახდინოთო. არავინ იცოდა, რით გათავდებოდა საქმე. მთავრობა დიდ გაჭირვებაში ჩავარდა, მაგრამ ამ დროს ტრიბუნაზე ცნობილი რადიკალი კლემანსო ავიდა და კომბს გამოესარჩლა.

კლემანსომ სთქვა: „ვალდეკ-რუსოს კომბის გაკიცხვის უფლება არა აქვს. კონგრეგაციებთან ბრძოლა თითონ ვალდეკმა დაიწყო, ეხლანდელი პირველი მინისტრი მხოლოდ ამის დაწყებულ საქმეს განაგრძობს. მთავრობის მეთაურობა თქვენ ხელში იყო, რისთვის გაანებეთ თავი? თუ გინდათ, ისევ მეთაურობა იკისროთ, თქვენი პროგრამა გაგვაგებინეთ და რესპუბლიკელთა პარტია თავისს განაჩენს დაადგენს. მანამდე კი მე კომბის მხარე მიჭირავს“. (მარცხენა პარტია ძლიერს, განუწყვეტელ ტაშს უკრავს). ბოლოს კენჭის ყრა მოახდინეს და სენატმა დელპეშის წინადადება 147 ხმით 136 წინააღმდეგ მიიღო, ასე რომ პატიოსანმა კომბმა სძლია ნიჭიერ, მოხერხებულ და მჭევრმეტყველ ვალდეკ-რუსოს.

ახალი ამბავი

◆ ბიულეტენი მთავარმართებლის **თავადის გ. ს. გოლიცინის** ჯანმრთელობისა: დილით ტემპერატურა 36,8, საღამოთი 37,8; მაჯა 66. საზოგადოდ გვარიანად არის. კანის ანთება კისერზე არ მატულობს. ხელს აწერენ ექიმები: მალინინი, ჩუდნოვსკი, რუდენკო და გადოსკი.

16 ნოემბერი, საღამოს 8 საათი.

◆ „კავკაზ“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: „**გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზად** დაინიშნა ალავერდის ეპისკოპოზი დიმიტრი, ნაცვლად დათხოვნილის ყოვლად უსამღვდელოესობის ალექსანდრესი“.

◆ კავკასიის სამთო მმართველობაში არსებულ სამთა-მადნო საქმეთა საკრებულოს წევრად, შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, ნაცვლად რუსეთში გადაყვანილ თავ. კურაკინისა, დაინიშნა მთავარმართებლის საგანგებო განკარგულებათა აღმასრულებელი მოხელე **დ. ვ. პოგენპოლი.**

◆ მოკლე ხანში ტფილისში არსდება **ხეხილის მომშენებელ** საიმპერატორო საზოგადოების ამიერ-კავკასიის განყოფილება.

◆ თიანეთის მაზრის სოფლის საზოგადოებათ—არტანისა, ზემო-თიანეთისა, ჯოყოლისა და ომალოისას—ნება მიეცათ თავიანთ სასოფლო-სამეურნეო თანხებიდან **ისესხონ ფული** სასოფლო მმართველობათა შენობების ასაგებად. არტანის საზოგადოებას სესხად ეძლევა 466 მან., ზემო-თიანეთისას—668 მ., ჯოყოლისას და ომალოისას თითოეულს 311 მანეთი იმ პირობით, რომ ნაწილ-ნაწილ გადაიხადონ ვალი პირველ ორ საზოგადოებამ სამის წლის განმავლობაში, ხოლო ორმა უკანასკნელმა ექვსის წლის განმავლობაში.

◆ დღეს, 17 ნოემბერს, **ტფილისის ქალაქის საბჭოს**, 6 ძველ საქმეთა გარდა, განსახილველი აქვს—შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1904 წლისათვის, არჩევანი ქალაქის გამგეობის წევრისა ნაცვლად თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილისა, რომელსაც სამსახურის ვადა გაუთავდა და სხვ.

რუსეთის ქრონიკა

◆ სამთო დეპარტამენტს შეუმუშავებია პროექტი სამთო-სამრეწველო საქმეთა საბჭოს დებულებისა. ეს საბჭო არსდება მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან სამთო მრეწველობის საჭიროებათა განსახილველად და მის განვითარებისათვის ღონისძიებათა გამოსაძებნად.

◆ როგორც „ნოვოსტი“ იუწყება, გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ ფინანსთა სამინისტრო აპირებდეს, სახალხო სიფხიზლის სამზრუნველოების მართვა-გამგეობის საქმე გადასცეს საერობო და საქალაქო გამგეობათ, ტყუილიაო.

◆ მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტთან და საიმპერატორო სატეხნიკო სასწავლებელთან არსდება ახალი საზოგადოება, რომელსაც მიზნად ექმნება, ხელი შეუწყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერების აღმოჩენასა და გამოგონებათ და მის პრაქტიკულად გამოყენებას.

◆ „პეტ. ვ.“ გვაუწყებს შემაძრწუნებელ ფაქტებს სამხრეთ-რუსეთში მცირე-წლოვან ქალიშვილების პროსტიტუციის შესახებ. ამ ხანებში როსტოვში აღმოუჩენიათ ორი მცირე-წლოვანი (10 და 11 წლის) პროსტიტუტი-ქალი. ფაქტი შემაძრწუნებელია, მაგრამ სამხრეთ-რუსეთისათვის ახალი არა ყოფილა. მთელ სამხრეთში მრავალი ყოფილა მცირე-წლოვანი პროსტიტუტი-ქალი, რომელთა შორის ხშირია თურმე 6-7 წლის ბავშვებიც. კიევში, ოდესაში, როსტოვში ეს სამარცხვინო ამბავი დაფარული არ არის. აუარებელ 8—10 წლის მცირე-წლოვან ქალებს ინახავენ თურმე ადგილობრივი ბურჟუა-მდიდრები; ქირაობენ მათთვის ოთახებს ან განგებ ხელზე მოსამსახურეებად აჰყავთ; ნამდვილად კი საშინელი ორგია იმართება უბედურ ბავშვის ბინაზე. ამ ხანებში მთელი კიევი ასახელებდა რამდენსამე დიდ პირს, რომელთაც არა ერთი და ორი მცირე წლოვანი დაუღუპავთ სამუდამოდ. კიევში ეს გარყვნილება—მცირე-წლოვან ბავშვების სხეულით ვაჭრობა—სწორედ განსაცვიფრებელ და აუწერელ სურათს წარმოადგენს თურმე.

მცირე შენიშვნა

(„წ. კ საზ.“ გამგ. საყურადღებოთ)

დღეს ყველა, ვისაც კი გული შესტკივა, ქართველ მკითხველს ეხმარება. ამისათვის არა ჰზოგავენ არაფერს. სამწუხაროა, რომ ქართველ მკითხველისთვის თვით „ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების“ გამგეობა-კი არა ზრუნავს ამაზე.

მართალია, იმას წიგნის მაღაზიის გარდა, სამკითხველოებიც აქვს, მაგრამ... აქვს ერთი სამკითხველო ტფილისში, რომელსაც ვერის მე-II სამკითხველო ეწოდება. ეს სამკითხველო ერთობ მწირალად ყოფილა წიგნებზე. არამც თუ რუსული, ქართული წიგნებიც-კი მცირეა აქ. თავი დავანებოთ ისეთ ახალ გამოცემულ, დღევანდელ ჩვენის მკითხველისათვის საჭირო წიგნებს, როგორიც არის, მაგ. ჰექსლის „ორგანიულ ბუნების განვითარება“, ჰოლბერის „ბუნების ცოდნა“, „ცა და დედამიწა“, „თანამედროვე ქალაქი“, „ამბები ინგლისის ისტორიიდან“, „გორკის თხზულებები“, „ბარტექ ძლევამოსილი“ და სხვა. არამც თუ ესენი, წარმოიდგინეთ, ჩვენ კლასიკებზედაც მწირალად ყოფილა სამკითხველო: არ არის აკაკის I და II, ტ., გ. წერეთლის I ტ., ი. ჭავჭავაძის II, ტ., ა. ყაზბეგის მხოლოდ პირველი სამი ტომია და ისიც საცოდავად დაფხრეწილი ასევე დაწეწილია ი. ჭავჭავაძის თხზულებებიც. ე. ნინოშვილის მოთხრობები მხოლოდ თითო ცალია და ისიც დახეული. ისეთი სასარგებლო წიგნი, როგორიც არის ი. ალხაზიშვილის „ბუნება და ცოდნა“, მხოლოდ ერთი ცალია. სამკითხველოს არა აქვს ბ-ნ კარიჭაშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოცემული „ვეფხის ტყაოსანი“, რომელიც ერთი-ორად გაუადვილებს მკითხველს უკვდავ პოემის გაგებას და შეთვისებას. ზოგი აქ ჩამოთვლილ წიგნთაგანი თვითონ „წ. კ. გ. საზ.“ გამოცემაა და მით უფრო სამწუხაროა, რომ ეს წიგნები სამკითხველოში არ არის. ესეც არ იყოს, განა ისე ძვირია ზემოხსენებული გამოცემები, რომ „საზოგადოებას“ იმათი ორ-ორი ეგზემპლიარის ყიდვა გაუჭირდეს? ჩვენში ყველა იმას იძახის, მკითხველები გაგვირბიანო და იმას კი არავინ კითხულობს, თუ რას აწვდიან ამ მკითხველებს. სირცხვილია, ზემო ჩამოთვლილი წიგნები ქართულ სამკითხველოში არ იყოს.

№№.

წერილი კახეთიდან

ღვინის მოსავალი

წელს კახეთში (განსაკუთრებით თელავის მაზრაზე ვამბობთ) ღვინის მოსავალი საერთოდ კარგია, მაგრამ ზოგ ალაგს მაინც ნაკლებად მოვიდა, მაგ., თელავის ზემო მხარეს თიანეთის საზღვრამდე სეტყვისა გამო მოსავალი საშუალოზე ნაკლებია, ზოგმა ხომ სულ მცირე მიიღო. ასეთივე მოსავალი მოვიდა თელავის ქვემო კურდღელაურის და კისისხევის საზოგადოების ზოგიერთ სოფლებში, მხოლოდ ქვემოდ მოსავალი საშუალოზე მეტია. გაღმა მხარემ აჯობა გამოღმას, თუმცა იქაც ზემო მხარეს ნაფარეულის საზოგადოებაში ვაზს სხვა-და-სხვა ავადმყოფობა გაუჩნდა, რადგან მცხოვრებთ წამლობით წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, მოსავალიც ნაკლები მიიღეს. დანარჩენ სოფლებში-კი ბლომად მოვიდა. სექტემბერში დააყენეს მაჭრები, დაავსეს ქვევრები და გასასყიდად მოამზადეს, მაგრამ მუშტარი არ გამოჩნდა. ღვინის სიიაფის ხმები-კი ძალიან გავრცელდა. ამბობდნენ, ქვემო მხარეს, ველისციხე-კარდანახში, სამ-ოთხ თუმნად კარგი ღვინო იყიდებაო. თელავის მაზრაში მაჭრობაში (თხლეზე) არ გაყიდულა, თუ იყიდებოდა, ისევ თელაველ ვაჭრებზე თითო-ოროლა ბოჭკობით საპალნე 35—45 მან. გაღმა მხარეს ხომ ღვინო ქვევრიდან არ დაძრულაო. ერთმა მამასახლისმა შემომჩივლა 40—60 საპალნე ღვინო მექნება ხარჯის ფულში დაბეჭდილი, სად არის მუშტარი 35—40 მან. სიხარულით მისცემენო. აი უბედურება. ნახევარ ფასად აძლევს გაჭირვებული გლეხი და კიდევ ვერ გაუსაღებია. მაინც ამ მხრის ღვინო გაზაფხულამდე არ იყიდება. რაკი თხლეზე ვერ გაიყიდა, გადიღეს, დაწმინდეს და ისევ მუშტრისკენ უჭირავთ თვალი, მაგრამ ამაოდ. ყველა სოფლელი იმას გაიძახის, ღვინის მყიდველი ნაკლებიაო და უფასობას უჩივის. არ ვიცი, რით აიხსნება ეს გარემოება: კარდანახ-ველისციხის უხვ მოსავლით, სადაც თელავში ჩამოსული სირაჯები ბოჭკებით მიეშურებიან, თუ მართლა, როგორც ზოგიერთები ამბობენ, ზოგ ქალაქებში მონოპოლიის შემოღებით. ამ ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, სირაჯები გაჩნდნენ და ღვინოც იყიდება, საპ. 40—60 მან. თუმცა ზოგმა მეტათაც გაჰყიდა, მაგრამ ასეთი შემთხვევა ხშირი არ არის.

აი, ასეთ ფასებში იყიდება ღვინო, რომლის ამოღება-აწყვა რომ ვიანგარიშოთ, უფრო ნაკლებად უჯდება მყიდველს. საპალნე წინედ 30 ჩაფი (ჩაფი—1½ ვედრო) ყოფილა, მერე 31 გახადეს და ეხლა ყველგან 32 ჩაფია. ეს ძალიან კარგი, მაგრამ ახლა რაც ამოღებაში ჰყვება! საზოგადოდ ხელჩაფით სწყამენ, რომელსაც პირში წნელი აქვს დარძლებით ჩაბმული და გარშემო ორი თითის დადებაზე მოხვეული. ამოღებაში დარძლა ჟღვდება, საწყაოს პირს სცილდება და მეტი ღვინო ჰყვება. თუ ამომღები ყოჩაღია, ერთი ხელჩაფის ამოღებით ჩაის სტაქანზე მეტს გადააყოლებს. ამას გარდა ეს სადღეგრძელოვო, ეს შესანდობარი, ეს ჭაშნიკიო და ასხმენ ბოჭკაში. ყველას-კი არ შეუძლიან ხელოვნურად ღვინის ამოღება, ამისთვის მცოდნე პირნი არიან, რომელთაც ღვინის ამომღებს უწოდებენ. როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, მაზრის უფროსს სწორედ ამ გარემოებისთვის მიუქცევია ყურადღება და აღუძრავს საკითხი მთავრობის წინაშე, ჩაფობით ღვინის წყვის მოსპობის შესახებ.

კარგმა მოსავალმა თელავში ღვინის ბოჭკები ძალიან დააძვირა. პირველში (ენკენისთვის პირველ ნახევარში) 13 მან. ჰყიდდნენ, მერე ნელ-ნელა აუწიეს ფასს და ბოლოს 20 მ. გაჰხადეს. ფასის ასე აწევა იშვიათი მოვლენაა. რასაკვირველია, ამათ „ხაზეინებმა“ კარგად მოითბეს ხელი, მაგრამ არც ხელოსნები (ბოჭკის გამკეთებელნი) დასხდნენ ისე. წინად თუ 2 მ. იღებდნენ, ეხლა 4 მან. იღებენ ხელფასს. ბარემ არ ენდომებოდათ ერთი-ორად ფასის მომატება, მაგრამ მუშა ხელი ნაკლები იყო, ბოჭკის მოთხოვნილება-კი—დიდი. მომუშავეთ ერთ ხანად მუშაობაზე ხელი აიღეს და ისე ითხოვეს ფასის მომატება.

შემოდგომის მშვენიერ მზიანმა ამინდმა მხვნელი დიდად დაალონა, ზამთარი ახლოვდებოდა და ხნულში მარცვალი არა ჰქონდა გადაგდებული. სიმშრალისა გამო ვერ ეთეს-ეფარცხნა. ოქტომბრის შუა რიცხვებში გაავდარდა, მიწა კარგად გააყია და გამოდარების შემდეგ ყველა მინდვრისკენ გაეშურა სათესად.

დიმიტრაშვილი

დაბა-სოფლები

დიდი-ჯიხაიში (იმერეთი): ჩვენში ყველგან სასოფლო-გზების შესახებ ჩივიან და ტირიან, ყველანი ხეირიან გზებს ნატრულობენ. მაგრამ ნატვრა ნატვრად რჩება და ჩვენი გზები ისევ საძაგლებია. თქმა არ უნდა, რომ კარგი გზები ყველგან საჭიროა, მაგრამ ხეირიანი გზების უქონლობა იქ, სადაც ყოველგვარ საზოგადო დაწესებულებათ თავი შეუყრია და მუდამ დღე მისვლა-მოსვლა აუცილებელ საჭიროებათ გადაქცეულა, ხომ ტანჯვაა. ასეთ ადგილთა შორის ს. დიდი-ჯიხაიშიც ჩაითვლება, რომელსაც პირველი თუ არა, არა უკანასკნელი ადგილი უჭირავს კულტურულ სოფელთა შორის ქუთაისის მაზრაში. საზოგადო ქსენონი, ბანკი, სამკითხველო, სასწავლებლები, ბაზრობა, აუცილებლად მოითხოვენ, რომ ამ სოფელში ორ-სამ ადგილას მაინც ხეირიანი გზები იყოს გაყვანილი, მაგრამ ჯერ აქ ვერც ერთ ხეირიან გზას ვერ ვხედავთ.

დიდი-ჯიხაიშიდან ს. იანეთში რკინის გზის ბაქანამდე მიმავალი გზა, რომელიც უსაჭიროეს გზათ ითვლება ორ-სამ სოფლისათვის, უკიდურეს მდგომარეობაშია. ყოველ-დღე სამჯერ-ოთხჯერ ოთხი ვერსის მანძილზე 15—20 ეტლი დადის და ბევრი ფეხით მოსიარულე მიდი-მოდის; ამათი მგზავრობა აუტანელი ხდება. ეტლები ხშირად თხრილებში ცვივიან და ხან შუა გზაზე ტალახში ეფლობიან. შიგ სოფელში—ხომ ტბები დგას! სასაცილოა და თან სამწუხაროც აქაურ ექიმის მდგომარეობა: სოფლად გაჭირვებით დადის, ეტლ-ცხენებიანათ ტალახში ეფლობა და ქსენონში ხშირად სველ-დასვრილი ბრუნდება. ზამთარში ხომ უარესს უნდა მოველოდეთ!

ურიგო არ იქმნებოდა სასოფლო გზების მუშაობა იჯარით გაიცემოდეს ან და წილ-ხდომილ მოზომვით გაკეთდებოდეს. აქ თავად-აზნაურობაცაა, რომელთაგანაც რამდენმამე პირმა გზის კეთების სურვილი განაცხადა. ბ. ნ. ნიკოლაძემ თავისს მამულზე (დიდი-ჯიხაიშში) აკრული გზა მოიზომა და უკვე გააკეთა. მაგალითით წახალისებული გლეხები, პოლიციის გამოცხადებასაც არ უცდიან, თავისს წილ-ხდომილ გზის კეთებას შეუდგნენ, მაგრამ უამინდობის მიზეზით ჯერ-ჯერობით დიდი არაფერი გაკეთებულა. სასურველია საერთო ძალა, თანხმობა, რომ საზოგადო სასარგებლო საქმე წინ წავიდეს.

საუბედუროდ, ამ ბოლო დროს სამიკიტნოთა რიცხვი სოფლად თან-და-თან მატულობს. მეეტლეები „ბახუსს“ უხვად წყალობენ. ღვინით გაბრიანცებული მეეტლე რას ჩადის, თვითონაც არ გრძნობს: ლანძღვა-გინება, უშვერი სიტყვები, ცემა-ტყეპა, 10—13 წლის მეეტლე ბავშვების წყალობით (რომელნიც „მეეტლე ხაზეინებს“ „კოზლაზედ“ წამოუსკუპებიათ), პასაჟირიან ეტლების გადაბრუნება, უცხო მგზავრის მოტყუილება და ღირებულზე სამჯერ-ოთხჯერ მეტის გადახდევინება — ხელობათ გადუქმნიათ. იმას არ ვიტყვით, რომ ასეთ ცუდ-გზებზე—ცუდ ამინდებში მეეტლეს დანიშნულ „ტაქსაზედ“ მეტი არ ერგებოდეს, მაგრამ ყველაფერს საზღვარი უნდა ჰქონდეს.

აქაური

წერილი რედაქციის მიმართ

მე და ღრმად გულ ჩათუთქული ასულნი ახლად განსვენებულის დეკანოზ ტერ-დავით იარალიანცისა, რადგან არა გვაქვს საშუალება ცალკ-ცალკე გამოვუცხადოთ მადლობა იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთაც, თუ ამ ჟამად მეორმოცე დღეს დასაფლავებისა და თუ გარდაცვალების ჟამებში გამოგვიცხადეს ჩვენ ტელეგრამებით, წერილებით და წარმოგზავნილ პირებითა თავიანთი გულითადი მწუხარება საგრძნობელ დაკარგვის გამო, ამისათვის გაზეთის შემწეობით განვუცხადებთ მათ ჩვენს თავდაბლურ ღრმა მადლობასა.

დეკანოზი **ტერ იოსეფ ამირალიანცი**

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 ნოემბერი

პეტერბურგი. ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის ჯანმრთელობის ბიულეტენი: „გუშინ საღამოს ტემპერატურა 37,3; მაჯა 64. დღეს დილით ტემპერატურა 36,8. მისმა უდიდებულესობამ ღამე კარგად გაატარა. ყურის ანთება ნორმალურად მიმდინარეობს.

იაკუტსკი. მხოლოდ დღეს მოვიდა ცნობა ლეიტენანტის კოლჩაკის შესახებ: კოლჩაკი 5 მაისს გასულა აჯერგანდარიდან თავისის პარტიით და ნავით „ზარია“ ბარონ ტოლის საძებნელად; გაემგზავრა ახალ-ციმბირის კუნძულებისაკენ. აჯერგანდარი ჰძევს მყინვარე ოკეანის ნაპირზე ახალციმბირის კუნძულების პირდაპირ.

შერბურგი. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ იმ ქვებს, რომელნიც ჯარის-კაცმა რელსებზე დასდო, უბედურების მოხდენა არ შეეძლო; ასე რომ იტალიის მეფე-დედოფალს საშიში არაფერი მოელოდათ. ექსპერტიზამ აღმოაჩინა, რომ ჯარის კაცი ჭკუაზე შეშლილი ყოფილა.

ვაშინგტონი. ოფიციალური ცნობა მოვიდა, რომ ვენეცუელის ყველა კონსულებს ესპანიაში მთავრობამ ჩამოართვა დამამტკიცებელი ბარათები. ამ ღონისძიებას იმით ხსნიან, რომ ვენეცუელაში უდიერად ექცევიან ისპანიის ელჩს და პატივს არა სცემენ ისპანიის კონსულს დაგუპირეში.

ლონდონი. ბალფურმა ერთს ნადიმზე აღნიშნა, რომ ინგლისის სამფლობელოს ინდოეთში შესაძლებელია თავს დაესხას დიდი სამხედრო სახელმწიფო რუსეთი. როგორც გერმანია უნდა ემზადებოდეს საომრად რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ და საფრანგეთიც გერმანიის წინააღმდეგ, ისე ჩვენთვის აუცილებელ და უდიდეს საჭიროებას შეადგენს, მოვეწყოთ ინდოეთის დაცვის საქმე ამ დიდს სახელმწიფოსაგან, რომელიც, სიხარულით უნდა აღვიარო, მეგობრულ განწყობილებაშია ჩვენთან და ცენტრალურ აზიაში სდგას ინდოეთის საზღვრების ახლოს.

ტოკიო. საქმეთა მდგომარეობა უცვლელად არის. გავლენიანი გაზეთები იწვევენ მთავრობას, მოითხოვოს რუსეთისაგან დააჩქაროს პასუხი იაპონიის წინადადებაზე.

16 ნოემბერი

პორტ-არტური. ტოშიჩიოდან იტყობინებიან, ხუნხუზებთან დიდი შეტაკება ჰქონიათ. ოთხი რუსი მოუკლავთ; მძიმედ დაჭრილია ათი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი.—ცინვანდუდან იტყობინებიან: გამოჩენილა გენერალი მა თავისის ჯარით, ჩინეთის სოფლებს იკლებს. ევროპიელთა ჯარებს ერიდება. ხმა დადის, ბოქსერები გაჩნდნენო და ჩინეთის მთავრობას ჰსურს იმ ხუნხუზთა პატიება, რომელნიც რეგულიარულ აინების დროშას შეუერთდებიან.

კიშინევი. ჯერ ორმოცი მოწმეც არ არის ნაკითხი. ზოგიერთ მოწმეს მეორეჯერ იწვევენ.

სოფია. 14 ნოემბერს საერო კრებაზე ოპოზიციის ორატორები მთავრობის შინაგანსა და საგარეო პოლიტიკას ჰკიცხავდნენ. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ მთავრობამ ვერ შესძლო საგარეო პოლიტიკა იმნაირად შეეცვალა, რომ საერთაშორისო დამოკიდებულება გაეუმჯობესებინა. 15 ნოემბერს კრება დაიხურა სერბებსა და ბოლგართა შუა ომიანობის დროს გამარჯვების დღესასწაულისა გამო. დღესასწაულმა მშვიდობიანად ჩაიარა, მანიფესტაციები არ მომხდარა. მთავარი და მისი მინისტრები საკრებულო ტაძარში სადღესასწაულო ღვთის მსახურებას დაესწრნენ.

რუსჩუკსა და ბუქარესტშუა ტელეფონს 18 ნოემბერს გახსნიან.

თუნისი. სათათბირო საბჭომ ერთხმად დაადგინა: ბიზერტაში მყოფს რუსეთის ესკადრის ადმირალს საფრანგეთის კოლონიის სახელობით მივესალმოთო.

პეტერბურგის ბირჟა, 15 ნოემბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,75
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,62½
ბირჟის დისკონტი	5-6½%
4% სახელმწიფო რენტა	99⅝ გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	95⅛ მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	459½ გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	348 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	294 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4 2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	244½ „

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 4 ს. 30 წ. (5 ს. 28 წ.); 2) საფოსტო № 4 ღამის 12 ს. 10 წ. (1 ს. 8 წ.); 3) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 36 წ. (7 ს. 34 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 30 წ. (6 ს. 28 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.); 2) საქონლ.-სამგზ. № 90/91 შუადღის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს) საღამოს 7 ს. 4 წ. (8 ს. 2 წ.); საფოსტო № 3 საღამოს 4 ს. 40 წ. (5 ს. 38 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 24 წ. (12 ს. 22 წ.).

ბათუმიდან: საფოსტო № 4 დღის 11 ს. 25 . (12 23 ს. წ.); სამგზავრო № 6 ღამის 9 ს.)9 ს. 58 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); საქონ -სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერჯელ კვირაში) ღამის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.); 2) საფოსტო № 3 ღამის 10 ს. 30 წ. (11 ს. 28 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 50 წ. (1 ს. 48 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 3 ს. 10 წ. 4 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 8 ს. 34 წ. (9 ს. 32 წ.).

შორაპნამდე: სამგზ. № 10 ღამის 12 ს. 7 წ (1 ს. 5 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სამგზ. № 103 ღამის 3 ს. (3 ს. 58 წ.); 2) შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.).

ბათუმისაკენ: 1) სამგზ. № 101 ღამის 1 ს: (1 ს. 58 წ.); 2) სამგზ. № 107 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 3) სამგზ. № 109 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

შორაპნამდე: № 11/12 ნაშუადღევის 3 ს. 10 წ.)4 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

Дозв ценз. Тифлисъ 16 ноября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Изда.л Т—ва.)